მიღების ოპერაციის იმპორტი ექსელიდან

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია ოპერაციების იმპორტი ექსელიდან. სისტემას მიყვება ექსელის შაბლონი, რომლის კორექტულად შევსების შემთხვევაში მარტივად ხდება იმპორტი. ექსელის ფაილი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მარშრუტზე:ORIS Accounting 7.0\DataExport\ AcceptTheGoodsImport.xlsx



არ გადააადგილოთ და არ წაშალოთ სვეტები და სტრიქონები. იმისათვის რომ იმპორტი შესრულდეს კორექტულად ველები შეავსეთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ოპერაციის თარიღში მიუთითეთ (რიცხვი.თვე.წელი) აუცილებლად წერტილით გამოყოფილი.

ორგანიზაციის დასახელება: მიუთითეთ ორგანიზაციის დასახელება.

თუ ორგანიზაცია არ არის საქართველოში რეგისტრირებული მაშინ ველის „უცხოელია“ გასწვრივ უჯრაში(7E) მიუთითეთ - „1“. იმპორტის ოპერაციის შესრულების დროს სისტემა ორგანიზაციას დღგ-ს ტიპში მიუთითებს „ნულოვანი“.

ველის „საიდენთიფიკაციო კოდი“ გასწვრივ ჩაწერეთ ორგანიზაციის საიდენთიფიკაციო კოდი. თუ ორგანიზაციას არ აქვს საიდენტიფიკაციო კოდი, შემოიღეთ თქვენთვის სასურველი უნიკალური კოდი. ამ კოდის მიხედვით შემდგომში მოხდება ამ ორგანიზაციის იდენტიფიცირება (ძიება) პროგრამაში.

თუ ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ასრულებთ მიღების ოპერაციას ველში „ვალუტა“ მიუთითეთ ვალუტის აბრევიატურა ზუსტად ისე როგორც სისტემაში გაქვთ ვალუტა დამატებული.

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ველები კორექტულად. საგნის დამატება დაიწყეთ მე-14-ე სტრიქონიდან .

ველში „კოდი“ მიუთითეთ საგნის კოდი. (საგნის კოდის მითითება აუცილებელია)თუ მითითებული კოდით უკვე გაქვთ სისტემაში დამატებული საგანი, მაშინ სისტემა დაუკავშირებს საგნების სიაში არსებულ საგანს . საგნის იდენთიფიცირება (ძიება) ხდება კოდით.

ველში „საგნის დასახელება “ მიუთითეთ საგნის დასახელება.

ველში „ერთეული“ მიუთითეთ საგნის ერთეული. თუ მითითებული ერთეული არ არსებობს სისტემაში, მაშინ სისტემა დაამატებს მას.

ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ რაოდენობა.

ველში „ერთეულის ფასი“ მიუთითეთ ერთეულის ფასი. თუ თანხის ველს შეავსებთ მაშინ შეგიძლიათ ერთეულის ფასი ცარიელი დატოვოთ. სისტემა თვითონ შეავსებს (თანხა/ რაოდენობაზე).

ველი „თანხა“ შეგიძლიათ დატოვოთ ცარიელი. მიიმპორტებისას სისტემა ავტომატურად დაითვლის თანხას და ჩაწერს შესაბამის ველში (რაოდენობა * ერთეულის ფასზე)

ველში „დღგ-ს ტიპი: ეკუთვნის დღგ -1, არ ეკუთვნის დღგ-0“ თუ საქონელი იბეგრება დღგ-თი მაშინ მიუთითეთ „1“ . თუ არ იბეგრება მიუთითეთ „0“ ან დატოვეთ ველი ცარიელი.

ველში „მომწოდებლის საგნის კოდი“ უთითებთ მომწოდებლის საგნის კოდს ასეთის არსებობის შემთხვევაში.



	A	B	C	D	E	F	G	H
1	მიღების ოპერაცია							
2								
3	ოპერაციის თარიღი	01.12.2022						
4								
5	ორგანიზაციის დასახელება:	შპს"მომწოდებელი"						
6								
7	საიდენტიფიკაციო კოდი:	12345678910		უცხოელი: 1				
8								
9	დოკუმენტის ნომერი:	1						
10								
11	ვალუტა:							
12								
13	კოდი	საგნის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა	დღგ-ს ტიპი: ეკუთვნის დღგ -1, არ ეკუთვნის დღგ-	მომწოდებლის საგნის
14	001	საქონელი1	ცალი	100	10		1	
15	002	საქონელი2	ცალი	150	25		0	

დაიმახსოვრეთ შევსებული ფაილი.

იმპორტის ოპერაციის შესასრულებლად შედით :მენეჯერული აღრიცხვა / მიღების ოპერაციები. დააჭირეთ ღილაკზე , გადადით ბარათზე „გამოვიყენოთ მაკროსი“



დააჭირეთ ღილაკს „OK“



დააჭირეთ ... ღილაკს. მიუთითეთ მარშრუტი სადაც შეინახეთ თქვენს მიერ შევსებული ფაილი.

ველი „დავამატოთ საქონელი თუ საგნების სიაში ვერ მოიძებნა“ მონიშვნის შემთხვევაში დაემატება ყველა ის საქონელი საგნების სიაში რომლის კოდიც ვერ მოიძებნება სისტემაში, მითითებული მოსანიშნის გადანიშვნის შემთხვევაში სისტემაში არ დაემატება ახალი საქონელი საგნების სიაში. დააჭირეთ ღილაკს „OK“



მიუთითეთ სასურველი ღირებულების ცენტრი. საგნებს მიუთითეთ სააღრიცხვო მშობელი ანგარიში და დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.